ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N28

07 ნოემბერი 2022 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე -4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N13 დადგენილებაში (**საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი** 17/07/2014 სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.128.016158

1.დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე - 2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ბ“ ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის და უფლებამოსილებათა ცნობად მიღების შესახებ“,საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით“.

„დ“განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს წევრების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 28 მუხლის მე-2 პუნქტისა და 29 -ე მუხლის მე- 3 პუნქტით დადგენილი წესით“.

2.დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე -3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,3. კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა და გადარჩევა ხდება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28–ე მუხლის მე–2 პუნქტის, 37 მუხლის პირველი და მე -3 პუნქტისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 26–ე, 102–ე და 103–ე მუხლებით დადგენილი წესით“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე